ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №14-1-1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დ.აბასთუმანი "10"იანვარი 2011 წ.

ერთის მხრივ შპს 'აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო" (დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ. № 40) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ეკონომიკურ დარგში ამირან ბერიძის სახით, (შემდგომში "შემსყიდველი"), მეორე მხრივ შ.პ.ს."დალიანი" წარმოდგენილი დირექტორი ნატო ზუმბაძეს სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. . შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს სასურსათო და სამეურნეო საქონელი. (შემდგომში "შეკვეთა").

1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ "შეკვეთის" ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით გათვალისწინებულ ნორმებს (სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმებს).

2. ღირებულება და გადახდის წესი

"შემსყიდველი"-სათვის საქონლის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მიწოდების მომენტისათვის გამოწერილი სასაქონლო ზედნადების მიხედვით.

2.2 "შემსყიდველი" თანხას გადაიხდის საქონლის მიწოდებიდან, სასაქონლო ზედნადების /ინვოისის/ საფუძველზე. გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით. ფორსმაჟორულ სიტუაციაში ნაღდი ანგარიშსწორებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას მის სასაწყობე მეურნეობაში შენახული საქონლისათვის საჭირო აუცილებელი ტემპერატურული და სანიტარული ნორმები.
- უზრუნველყოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა შემკვეთის მოთხოვნილებისადმი.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად გადაუხადოს შეკვეთის ღირებულებაშემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების 2..2 პუნქტზე დაყრდნობით.

4. **დასკვნითი დებულებები**

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზედ ხელმოწერის დღეს და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღად ითვლება პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღი.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებობის, ანდა არაჯეროვანი შესრულებისას დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

4.4 ხელსეკრულება ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

4.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

5. მხარეთა იურიდიული მისამართები **მომწოდებლის რეკვიზიტები**

შ.პ.ს."აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო	შ.პ.ს."დალიანი" ახალციხე თამარაშვილის ქ№ 44
დ.აბასთუმანი ფალიაშვილის ქ.№40	
ს/ნ 222717246 ა/ა 34020611	ს/ნ 224092050 ა/ა 880394100
ლიბერთი ბანკი ახალციხის ფილიალი	საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი BAGAGE22

დირექტორის მოადგილე
ეკონომიკურ დარგში: /ა.ბერიძე/

დირექტორი:
/ნ.ზუმბაძე/